

საქართველოს  
საზოგადოებრივი

# საქართველო



ბ. ტყეშელაშვილი

№ 16




საქართველოს საზოგადოებრივი



1909

# შინაარსი

I—მაიმუნი.—ფეჟია, შ. მღვიმელისა.....	3
II—დიღმელ და მერელ ჭოსის ამბავი.—(ქართლში გავო- ნადი) თ. რაზიკაშვილისა.....	5
III—სიმღერის ძალა.—ავეტაკ ასაჭაკაანისა (თარგმანი) უ. კ—ნისა.....	10
IV—ერთგული სპილო.—(რუსულათ) დ. ელიაშვილი.....	13
V—ვირის თავგადასივლი.—XVIII სათაობა, (ფრანგულ- ათ) ან. აშიდახერისა.....	21
VI—კატა და ციყვი.—(ვაგნერიდან) დ. კაფიანისა.....	21
VII—ა) ანდაზა, —ბ) რებუსი და აღსნა.....	24





წილისადი 80-V.

№ 16


აგვისტო, 1909 წ.



ტფილისი, ელექტრონის სკამა წიგნების გამოცემულ ქართველთა ამხანაგობის .

## შინაარსი

I—შაიშუნნი.— ლექსი, შ. შღვიშქელისა . . . . .	3
II—დიღმელ და შერელ ქოსის ამბავი —(ქართლში გავლ- ნილი) თ. რაზიკაშვილისა . . . . .	5
III—სიღერის ძალი.— ავეტოკ ისაკაკიანისა (თარგმანი) უ. კ—ნისა . . . . .	10
IV— ერთგული სპილო.—(რუსუღით) ღ. კლიაგასა . . . . .	13
V—ვირის თავგადასავალი.—XVIII ნათლობა, (ფრანგუ- ღით) ან. აშიდახერისა . . . . .	21
VI— კატა და ციყვი.—(ვაგნერიდან) ღ. უიფიანისა . . . . .	21
VII—ა) ანდაზა, —ბ) რებუსი და აღსნა . . . . .	24





## მ ა ი მ უ ნ ი



უნა-ქუნა ატარებდნენ  
ზაწაწინა მაიმუნსა;  
მის სიძარღეს და სიცქვიტეს  
ვერა სდებდა ვერვის წუნსა.

კაციხათვის უნებურად  
საწუალს თავი შეეწირა:  
საითკენაც უბრძანებდნენ, —  
კადასტოდა უირა-უირა.

აჯავრებდა ხალხის ქცევას,  
უსაქმურ ბრობს აცინებდა;  
სევედიანი, ნაღვლიანი,  
გულში ეველას აცინებდა.

ვკითხულობდი, როს უძხერდი  
მის გონიერ, ცოცხალ თვალებს:  
„ეს ორ ფეხა, მსეცსე მსეცი  
„რად მტანჯავს და რად მაწვალეებს?!

„თუ ეს მოსწონს და ახარებს  
 „მის წადილს და გონებასა,  
 „რადღა სდევნის ისე მწარედ  
 „ბორკილსა და მონობასა?!..“

სეკდიანი, ნადვლიანი,  
 გადანტოდა, გადმოსტოდა  
 და ჰატრონი ბრუციანი  
 მის ვაებას ვერა გრძნობდა.


მ ვლვიმელი





## დიღმელ და მერელ ქოსის აშხაზი

(ქართლში გაგონილი)



რი ვაძიანხილი ქოსა იყო, ერთი სოფ. მერეთში \*), ერთიც დიღომში.\*\*\*) ორივე ძალიან ვაოსტატებულები იყვნენ, ერთმანეთის სახელი და ქება გაგონათ, მაგრამ კი არ ენახათ ერთმანეთი.

ერთხელ მერელმა ქოსამ მოვამადგირეს ქალაქში ხარი ვაატანა ვასასვიდად. ვსახედ დიღმელი ქოსა შემოსვდა.

- გამარჯობა!
- ვაგამარჯოს.
- სადაური ხარ?
- მერელი.
- რასა ჭეიდი?
- ხარსა.
- შენია?
- მერელ ქოსისაა.

დიღმელ ქოსა-მატუარას უღვაშებში ჩაეცინა.

— ბიჭო, ხარი ვარცა, მაგრამ რქები რომ არა ჭქონდეს, უმწველად მე ვიუიდადი.



\*) მერეთი ქართლშია, პატარა ლიხვის პირად, გორიდან 15 ვერსი იქნება.

\*\*\*) დიღომი ტფილისის ჩრდილოეთ-დასავლეთიდან უძვეს.

— რქების მოძორებას რა დიდი საქმე უნდა, შედეგად დადგინდა ცვილო, აი ამ საათში შენ წინ დავამტვრევო, — უთხრა ბიჭმა, აიღო ჯოხი და ჯერ ერთი რქა წააგდებინა საცოდავ ხარს, მერე მეორე.

— აჰა, ესეც ურქო ხარო, იეიდუ რაღა!

— იცი, კუდიც რომ არა ჰქონდეს, უფრო კარგი იქნებოდა. ადგა ბიჭი და კუდიც მოაჭრა.

დიდძელ ქოსასაც ეს უნდოდა: მოუღო ახლა შარი, ამ ხარს რომ კუდი და რქები მოჭრილი არა ჰქონდეს, უაჭველად ვიყიდდიო. დადონდა ეს ბიჭი, ახლა რაღა ვქნა, საიდანღა მოვაბა ან კუდი და ან რქებიო, ხომ აღარაუინ იეიდის და სახლში როგორღა მივიდუო. რაკი ვერ გაუიდა, რა მეტი ღონე ჰქონდა, ადგა და ისევ სახლში წაიუვანა.

სახლშიც რომ მივიდა, მერელ ქოსას ელდა აცა:

— ბიჭო, კვ რა გიქნია?

მოჯამაგირემ უთხრა: — ერთი დიდძელი ქოსა შექმნდა, იმან გამაბრიევა, თუ კუდსა და რქებს დაამტვრევ, შე ვაუიდიო. ავდექ მეცა და დავაჭერ, მაგრამ ი მატუუარამ აღარ იეიდა და ასე მომადლორაო.

— კარგი და ახლა შე ვიცი, როგორც გადაუსდი, — სთქვა მერელმა ქოსამ.

წაიუვანა ერთი ვირი და წავიდა იმის სამკებელად. როცა დიდომს მიუახლოვდა, ადგა და თავის ვირს კუდ ქვეშ ერთი ოქრო გაუკეთა.

იარა და შესვდა ამ ქოსას. მაშინვე იცნო.

— გამარჯობა!

— გაგიმარჯოს.

— სად მიდისარ?

— ქალაქში.

— რათა?





— ეს ვირი უნდა გავუვიდო.

— მერვე როგორია შენი ვირი, რომ მერეთიდან მავის გასასუიდად აქ წამოსულხარ?

— მოჰქეე უკან და გაიკეპე, როგორიც არის.

ცოტა რომ გადარეს, ვირმა მოახონხორიკა და თან ერთი უვითელი ოქრო გაატანა.

— აბა, მესე, ჩემი ვირი სულ ასე აუოლეებს ოქროებსა, — უთხრა მერველმა ქოსამ.

დიდძელ ქოსას, ცოტა არ იუოს, მეძურდა და უთხრა:

— მოიტა მე მომეიდე, რა მოკცე?

— ოცი თუმანი მომეცი. — მისცა და წაიუვანა.

— ახლა როგორ უნდა მოვექცე, რომ ბევრი ოქრო გამოძიაროს? — ჰკითხა დიდძელმა ქოსამ.

— ეს ვირი ერთ კაი ოთანში დაბმწუვდიე და მუდამ თვე და თვე ნახე, თითო კაღათა ოქროს გამოიტანო.

წაიუვანა გახარებულმა დიდძელმა ქოსამ ოქროს მერველი ვირი და ერთ ოთანში დაბმწუვდია. ასე ჰუვავდა მთელი თვე უსძელ-უჭძელი.

ერთი თვე რომ გავიდა, მივიდა სანახავად, მაგრამ კარები ვეღარ გახლო. ვირი მომკვდარიყო სიმძილით და ფეხები კარებისთვის მიეზუნა.

როგორც იყო შევიდა და ნახა, რომ ვირს სიმძილით ფეხები გაუფშკვია, და იქ ხონხორიკის მეტი არა ურია-რა.

— ეს რა მიუო იმ მერველმა ოინბასმა, როგორ გამასულელა, — სთქვა დიდძელმა ქოსამ, — თუ არ წაველ და სამავიერო არ ვადაუნადე, არ იქნებო.

იარა, იარა და ავიდა გორში; აბა, მაშინ სომ რკინის გზა არ იყო, რომ ორ საათს მოსდომოდა, მთელი ორი დღე იარა. გორში რომ ავიდა, ავი ბახარში მერველ ქოსას არ შესვდა!

მერე ქოსას ორი კურდღელი დაუჭერია, ერთი მინ გა-  
უშვია და მეორე უბეში უზის.

— გამარჯობა!

— გავიმარჯოს!

— აქ რამ ამოგიუვანა?— ეკითხება მერე ქოსა.

— მენს სანახავად წამოველ.

— კარგი და მამ ჩვენსა წავიდეთო და წავიდნეც კიდევ.  
კარადეთს რომ გასცდნენ, ამოიუვანა მერე ქოსამ უბი-  
დან კურდღელი და უთხრა:— აბა, ჩემო კარგო კურდღელო, წადი  
ჩემ ცოლთან და უთხარ:— მე და დიდძელი ქოსა მოვდივართ  
და კაი სადილი მოგვიმზადეთქო.

გაუშვა ეს კურდღელი. კურდღელს, აბა, რა იმისი დარდი  
ჭკონდა, ძლივს თავს უშველა. ასეთი მოუხვა ამ ჯაგიან მინ-  
დარში, რომ თვალს ვილა მოჭკრავდა. მივიდნენ მინ, მართ-  
ლა კარგი სადილი დახვდათ მზად. რაკი მეორე კურდღელი  
იქ ნახა დაბმული, დიდძელ ქოსას ეკონა, ნამდვილად ის კურ-  
დღელიაო. ჰური რომ ჭამეს, მერე ქოსას უთხრა:— მოდი და  
მე კურდღელი მე მომიდე.

— იუდე.

— რა მოგცე?

— ათი თუმანი.

მისცა ათი თუმანი და წამოვიდა. ამ კურდღელს კაი უანად  
გაუვიდა და, რაც ვირში ვიზარაღე, ამით შევისრულეო!

მცხეთას რომ გასცდა, კურდღელი გაუშვა:— წადი და ჩემს  
ცოლს უთხარი, დაღალული ჩამოველ, უნაბი ვარ, ვპკი და  
სამხარი ამომიტანე-თქო.

კურდღელმა რაკი თავს უშველა, ასეთი მოცხრილა, რომ  
თვალს-ლა მოჭკრავ!

ვლოდა სამხარს დიდძელი ქოსა, ვლოდა, მაგრამ არაფე-  
რი მოუვიდა. საღამოზედ მივიდა მინ გაჯავრებული.



— რა ღმერთი ვაგვიწერა, რატომ სამხარი გზავნე, რომ შემოვიტოვალე?

— რა ვიცოდი, ან როდის შემოვიტოვალე! — უთხრა ცოლმა.

— როგორ არა, კურდღელი გამოგვიგზავნე და იმას დავაბარე, სამხარი გაგეკეთებინა და მოგეტანა.

— რას ამბობ, კაცო, რა კურდღელი! მე აქ არავინ მინახავს, — მიუგო ცოლმა.

მაშინ მიხვდა დიდძელი ქოსა, რომ ძერედ მომატეუილა იმ წუეულმა ძერელმა ქოსამო. ადგა და წაუვიდა იმის სახსავად.

— კაცო, რად მომატეუე? ვირი მოძეიდე — მომიკვდა, კურდღელი მოძეიდე — გაძექცა, კერე უნდა?

— რა ჩემი ბრალია, ჩემო ძმაო, შენ ვირისთვის ერთი თვე არა გიჭმევია. რა და მოკვდებოდა, მა რა დაეძარებოდა. კურდღელი კიდეუ უცხო ადგილს ვაგვიძეა, სახლი არ გისწავლებია და რა იცოდა, ვის სახლში მისუღიუო!

რად იქნებოდა, წამოვიდა სახლში ხელ-ცარიელი დიდძელი ქოსა.

— სადაც შენი სთქვა, იქაც ჩემი მოიგონეო, — სთქვა გუნებაში ძერელმა ქოსამ: — რასაც დასთეს, იმას მოიძეიო.

ასე გადაუხადა ხარის კუდისა და რქების დაჭრა ძერელმა დიდძელსა.

ჭირი იქა, ლხინი აქა,

ქატო იქა, ფქვილი აქა.

თ. რაზიკაშვილი





## სიმღერის ძალა

ავტორი ისაშაკიანისა

(თარგმანი)



თასისა და ათი ათასის წლის წინადა, შორს, პრიელ შორს, ლურჯის ზღვის გადაღმა იყო ერთი ქვეყანა.

იქ მრავლად იყო ვეავილები ჭრელი და მძევნიერი, ზეპლებივით გაფანტული კლდეებსა და მინდვრებში, და მათს კეთილ-სურნელოვანებას მოეცვა იმ ქვეყნის არუ-მარე, მთები და სკვები.

იქ წუარობიც იყო, ანკარა და მქეფარე, რომლებიც ბავშვებივით მსიარულად სტოდნენ ქვიდან-ქვაზე და ვეავილებს ებღერებოდნენ.

ადამიანები-კი იქ ბოროტნი და უწუალონი იყვნენ.

მათ შორის ერთი საბრალთა, ობოლი და საწუაღი ბავშვიც სცხოვრობდა: საცოდავს არა ჭქონდა, საცა თავი მიედრიკნა, არა ჭქონდა ჰური საჭმელად და ტანისამოსი ჩასაცემელად.

მარტო იყო, როგორც სირი, როგორც ფრინველი ხალ კლდეთა შორის.

გაიზარდა ობოლი ისე, რომ თითქმის არავის უნახავს, არავის შეუძნევა; იკვებებოდა მინდვრის მცენარეობით და თავს აფარებდა ტყეებსა და გამოქვაბულებსა.

მაგრამ ბავშვი ვეელას შეუძნეველად ენებოდა თავის თითებით ადამიანთა გულებს და სინჯავდა; სინჯავდა და სედავდა, რომ ქვისა იყო მათი გული, მაგარის ქვისა.



და როდესაც კარგა დიდი ვაიზარდა და იმ ქვეყანაში ყველა ადამიანის გულს შეეხო და გაძინჯა, მწუხარებით დარწმუნდა, რომ ეველას გული ქვა იყო, ნამდვილი ქვა!..

ემაწვილმა დასტოვა ახლა-კი ეს გულ-ქვათა ქვეყანა და გაუღვა გზას, იქნებ სხვა კარგი ქვეყანა ვიპოვნო ს:დმო.

ბევრი იარა თუ ცოტა, მიაღვა ერთ ზღვას და, როდესაც მის ნაპირად დადიოდა, დაინახა რიუესკედ ერთი მეტად მშვენიერი, ლამაზი, ბჭვერიალა თევზი.

თევზმა მიჰმართა ემაწვილს ადამიანის ხმითა:

— კეთილო ბავშვო, ზღვის ტალღამ გადმომაგდო ქვიძასე, არ შემიძლიან წასვლა ზღვაში ჩემ დებთან, შემიბრალე, ამიღე და ზღვაში გადამაგდე.

კეთილის გულის ბავშვმა აღო უშიშრად თევზი, ალერსით მიიუყანა ზღვის ზირას და გაუშვა ზღვაში.

და როდესაც თევზი გადაეხვია ზირველ ტალღას, მიჰმართა ბავშვს:

— მითხარ, რაც რომ შენს გულს უნდა და აკისრულებ, ნაცვლად შენის სიკეთისა. ბავშვი ცოტათი დაფიქრდა და უთხრა:

— თუ ეგრეა, ისეთი შნო მომეცი, რომ ადამიანს შეკრდ ქვემ ქვის ნაცვლად ნამდვილი გული ჩაუდო.

— შენ სიყვარული გინდა, მშვენიერო ბავშვო. . ძალიან კარგი. ზღვის ზირის ლერწმებში მოსჭერი ერთი ლერწამი და იმისა სალამური გააკეთე: წადი სალხში, დაუკარი და იმღერე. და როდესაც ჰნახო, რომ იმათი თვალები ცრემლებით გაივსოს. მაშინ შეიტყობ, რომ ქვა დაღნა და გულად გადაიქცა.

ასე დაარბა თევზმა ბავშვი, თითონ კი ჩაეხვია ტალღებს და შესცურა ზღვის სიღრმეში.

ბავშვმა მოსჭრა მაშინვე ლერწამი, სალამური გააკეთა და დაიწყო დაკვრა. ისე სასიამოვნო, ისე მომხიბლავი და ტკბილი ხმა ამოაღებინა სალამურს, რომ ფრინველნი შექერდნენ, გახუდნენ და სმენად გადაიქცნენ.

და ბავშვი გაეშურა ხალხში გასარევიად... შევიდა რამდენიმე წელიწადი, საცა ბევრი ხალხი სცხოვრობდა, გაჩერდა მოედანზე და დაუწყო დაკვრა ხალამურს.

ბავშვის გულის სიღრმიდან ამოწკრივებდა ციური, მშვენიერი ხმა სიძღერისა.

ობლებს მწუსარედ დამღერდა ცივ-ზამთარში უზატრონოდ დარჩენილ კარ-დანსულ სახლში და მათს მწუსარე ცრემლებს დაენახ.

და მოეფინა იმის სიძღერა მოედანს, შეიჭრა ეველას ქოხსა და სახლში, დაამტვრია და დაამსხვრია ეველას ქვა-გული და ჩასწვდა მის სიღრმეს.

და უოველი გული ნელ-ნელა იშორებდა უწვალოებსა და საძაგეროდ ივსებოდა სიუვარულით, რომელიც ზღვასავით ჭლელავდა და ნაპირებიდგან გადაჰდიოდა.

და ეველა ადამიანს სურდა გარედ გამოვარდნა ილიყო, სიუვარულით და ნეტარებით ჩაჰკონებოდა თავის მხკავსს, თუნდ სულ უცნობს ადამიანს, მძურად გადაჰხვეოდა და თავი გაეწვირა მისთვის.

და, აჰა, გამოცვივდნენ სახლებიდან, მიამურეს მოედანს, შემოეხვივნენ ბავშვს, და ჰირველად ჰხახეს, რომ ბავშვი საწვალდი იყო და უზატრონა: მოეხვივნენ და ეამბორნენ და თავიანთ სიცოცხლეში ჰირველად იტირეს, გული ამოიჩვენეს ქვითინითა...

ბავშვი კი უკრავდა ხალამურს უფრო ტკბილად, უფრო საგრძნობელად და გულ-მოსაკლავად, ხალხი კი ეველანი, ეველანი ეურს უკლებდნენ და თან ტიროდნენ, მღუღარებას აწვედნენ...

და აი მას დღეს აქეთ შემოვიდა ქვეყნად სიძღერა: სიძღერის ძალით დადნენ ქვის გულნი, და იმ დღიდან სიუვარული მწუსარებანთან ერთად გაჩურვლად დაემკვიდრა ადამიანის გულში.





## ერთგული სპილო

(რუბულით)



ს ამბავი მოჰსდა ინდოეთში. ცხარე ბრძოლის დროს სპილოს წინამძღოლი დაიჭრა და ძირს დაეცა.

ამ გამწარებულ ბრძოლაში ვინ მიჰხედავდა საწყალს, ვინ იზრუნებდა მისთვის?! აუცილებლად დაღუპვა მოელოდა: ფეხ ქვეშ გასრესდნენ. საწყალმა რამდენ ჯერმე მოიკრიბა მთელი თა-

ვისი ძალ-ღონე, წამოიწია ასადგომად, მაგრამ ისევ კვნესით დაეცა ძირს. სპილო ჯერ სორთუძით დაესმარა, მაგრამ, როცა დანიახა, დაჭრილი ფეხზე ვეღარ დგებო, სორთუძი ფრთხილად მოჰხვია ტანზე და მალლა ასწია.

ძებრძოლი ჯარის კაცები მისცვივდნენ, უნდოდათ წინამძღოლი გამოეკლიჯათ, რადგან სპილო საჭირო იყო ზარბაზნის წასადებად, მაგრამ ამაოდ, სპილომ შედაც არ წააკარბათავის ზატრონს, ფრთხილის ნაბიჯით გაემართა ბაძბის კარავისაკენ და დაჭრილი წინამძღოლი სიფრთხილით ძირს დაუშვა. ამას შემდეგ თითონ ისევ ბრძოლის ველზედ დაბრუნდა.

ლ. ელიავა



# პირის თავგადასავალი

XVIII ნათლობა

(ფრანგულით)



იერს და კამილას უნდა მოეხათლათ კამილას გამდლის შვილი; კამილას თავისი სახელი უნდა დაერქმია ნათლულისთვის. „არა, — უთხრა პიერმა: — მე ნათლია ვარ და პიერეტა უნდა დავარქვა.“

კამილა. რა შვილი სახელია პიერეტა! მე არ მინდა პიერეტას დარქმევა, კამილა სჯობს, მეც ნათლია ვარ და ჩემს სახელს უწოდებ.

პიერ. არა, მე უფრო მეკუთვნის ჩემის სახელის დარქმევა.

კამილა. თუ ავრება, მეც აღარ მოვხათლავე.

პიერ. თუ კამილას დაარქმევ, არც მე მოვხათლავე.

კამილა. როგორც გინდა. მაშას ვეტყვი, იმან მონათლოს.

პიერ. მეც დედას ვეტყვი, მენ მაგივრად იმან მონათლოს.

კამილა. მე ვიცი, ძალუა ჩემი პიერეტას არ დაარქმევს, მაგ უცნაურ სახელს.

პიერ. მეც დარწმუნებული ვარ, მინას არ ენდომება კამილას დარქმევა: სულელური სახელია.

კამილა. როგორ? მაშ, მე რად დამარქვა კამილა?.. აბა, ერთი უთხარი, რომ ეგ სულელური სახელია, მაშინ ნახამ რასაც ვეტყვის.

პიერ. რაც გინდა სთქვი, მე კი, კამილას ნათლია არ ვიქნები.



— მამა, — უთხრა კამილამ შემოსულს მამას: — დღით ხეშთან ერთად მონათლოთ ჰატარა კამილა?

მამა. ვინ კამილა, ჩემო ძვირფასო? მე შენს მეტს კამილას არავის ვიცნობ.

კამილა. ჩემი ძიძის შვილია, დღეს უნდა მოვნათლოთ.

მამა. აკი ჰიერი და შენა ნათლავთ! მე რაღად გინდივართ? კამილა. მამა, ჰიერს აღარ უნდა ნათლია იყოს.

მამა. რატომ? რა მისეხია?

კამილა. იმიტომ, რომ კამილას სახელი არ მოსწონს — სულელური სახელია და ჰიერება უნდა დავარქვაო.

მამა. ჰიერება უფრო უცნაური არ იქნება?!

კამილა. მეც მაგას ვეუბნები და არა შერება.

მამა. გამოგონე, ჩემო ჰატარა, ვცადეო მორიგდეთ როგორმე, და თუ არა ქნას, მაშინ მე მოვნათლავ.

ამ დროს ჰიერიც გაიქცა თავის დედანთან.

— დედიკო, მოდი, კამილას მაგიერ, შენ მონათლე ჰატარა გოგო.

დედა. რათა, გადიას უნდა თავის გასდილს მონათვლინოს

ბიერ. იმისთვის, რომ კამილას უნდა ჰატარას თავის სახელი უწოდოს, მე არ მომწონს მისი სახელი. რაკი ჩემი ნათლული იქნება, მინდა ჰიერება დავარქვა.

დედა. რა შვილი სახელია ჰიერება! როგორც ჰიერი ღამაზი სახელია, ისე ეგ უშნოა.

ბიერ. არა, დედა, გენაცვება, ნება მომეცი ეგ სახელი დავარქვა... მე არ მინდა, რომ კამილა ერქვას.

დედა. თუ კი ერთმანეთს არ დაუთმობთ, მამ, როგორ მორიგდებით?

ბიერ. იმისთვის გთხოვთ, თქვენ მონათლოთ.

დედა. არა, ხეში კარგო, ეგ არ შეიძლება, უნდა რეგ კითხრა, სასაცილო სახელია ჰიერეტა, მერე ვისაც უნათლავო, ის კამილას გამხდელია და არა შენი, ის თავის გასდილს ანათვლინებს და კამილას სახელი უფრო ენდობება.

ბიერ. მაშ, მე აღარ მოვნათლავ  
ამ დროს კამილამ მოიბინა.

კამ. აბა, ჰიერ, ნათლავ თუ არა? ერთ საათს უკან უნდა მზად ვიუკეთ.

ბიერ. მაშ, თუ ჰიერეტას არ დაარქმევ, ხურც კამილას დაარქმევ.

კამ. მაშ, კარგი, თითონ გადიას ვკითხოთ, რა სახელი სურს დაარქვას თავის ქალს.

ბიერ. ძალიან კარგი, წადი, ჰკითხე.  
კამილა გაიქცა და ძლე დაბრუნდა.

— ჰიერ, ჰიერ, გადიას უნდა, რომ მარია-კამილა დაარქვას.

ბიერ. არა, ჰკითხე, ჰიერეტას სომ არ დაარქმევს, რაკი მეც ვნათლავ.

კამილა. როგორ არა, მაგრამ სიცილი დაიწყო; დედასაც გაეცინა და დაიწუნეს ეგ სახელი.

ჰიერ ცოტა გაწითლდა, თითონაც დასთანხმდა, უცნაური სახელიაო, და აღარა სიქვა-რა, მხოლოდ ამოიოხრა.

— ხმელი სილი სად არის? იკითხა მან.

კამილა. დიდ კვლამთაძია, საუდარში წამოიღებენ; ეველაფერი მზად არის, წამო, ვნახოთ, რამდენია.

წავიდნენ წინა ოთახში, სადაც ეველაფერი დამზადებული იყო.

ბიერ. ეს ამდენი გრომები რიდასთვის არის?

კამილა. მაკას სკოლის ბავშვებს გადაუერთა.

ბიერ. ვანა სკოლაში წავალთ ნათლობის შემდეგ?



კამილა. არა, ეკელესიის კარებზე რომ გამოვალთ, რა შეგე  
ერებიან სოლმე სოფლის ბაღლები და გადუერთ ფულს და  
სმელ სიღს, ეცემიან და აჭკრეფენ.

ბიერ. გინახავს, როგორ გადუერთან სოლმე?

კამილა. არა, მაგრამ უამბნათ, ძალიან სასიამოვნო ამბა-  
ვიბო.

ბიერ. არა მგონია, უთუოდ ერთი მეორეს სტაცებს, ასტედე-  
ბა ცემა, ევირილი, და არც მიუვარს, როცა ბაღლებს ძაღლე-  
ბივით გადუერთან ტებილეულს. კამელ, ზიერ, წამოდით, აგერ  
ბავშვი მოჭევათ, — დაუძახა ქაქანით მორბენილმა ძაღლენამ.  
ეველანი გაცვივდნენ. — რა ლამაზი ნათლული გვევს, — დაიძახა  
ზიერმა.

კამილა. რასაკვირველია, ნახე რა მშვენიერი ნაკერი კაბა  
აცვია, კრუჯავოს იარაღინი და ზირისფერ სარჩულ-გამოკ-  
რული წამოსასხამი.

ბიერ. ეკები შენ მიეცი?

კამილა. არა, მე მაგდენი ფული სადა მქონდა, დედამ მო-  
უძახდა ეველაფერი. მე მხოლოდ იარაღინი უკადე ჩემის ფუ-  
ლით.

ეველანი მხად იევენენ; თუმცა კარგი დარი იყო, მაგრამ  
ეტლი შეებათ, რომ ნათლიები და ნათლული მიძით შიგ ჩამ-  
სხდარიევენენ; კამილასა და ზიერს მეტად უსაროდათ, დიდები-  
ვით მარტონი ვსხედვართ ეტლშიო. მეც შემბეს ჰატარა ემა-  
წვილების ეტლში; ჩასხდნენ: ლუი, გენრიხი, ჟაკი და ჟანა;  
ძაღლენა და ელიზა კოფოზე დასხდნენ, გენრიხიც უკან და-  
უჯდა; მშობლები და გამღლებიც მოგვდევდნენ, თუმცა კი იცოდ-  
ნენ, არ გადავაბრუნებდი. მეც, თუმცა იმოდენა ხალხი იჯდა  
ეტლში, ტარებით მიძეავდა. მინდოდა ეტლისთვის გამქსწრო  
და ქარავით მივაქროლებდი; ემაწვილებს მეტად უსაროდათ.  
„ვაჰა, კადიმონ, აგრე იარე! გაქმარჯოს კადიმონს, ვირების

მეფეს! — ტამს უკრავდნენ, რაც ძალი ჰქონდათ. „შენსა და მისა“ ვერც იმხროდნენ გამკვლელები. — ცხენივით არ მიამჯინებს! გაგიძრავოს, გაგიძრავოს, და მშვიდობით მოგიყვანოს. — დედამას, ცოტა არ იუოს, ეძინოდათ, და ვეღარ მოგვდევდნენ. უნდოდათ შევეყენებინეთ, მაგრამ მე უურს არ უკვდები და მივიდიოდი სწრაფად. ბოლოს დავეწიე ეტლს და კიდევ გავასწარი, ცხენები გაცეებით მიუურებდნენ შერცხვენილნი, რომ გავასწარ, და ისინიც მოემზადნენ გამოქანებულიყვნენ, მაგრამ მეეტლემ არ მისცა ნება. როცა ეტლი შედგა კარებთან, ჩემი ჰატარა გზავრები უკვე გადმოსულიყვნენ, მეც ჩრდილოში გავეჩრდი, რადგანაც დაძვინა და დავიდალე. მშობლები რომ მოვიდნენ, ულოცავდნენ ემაწვილებს, ასე ძაღუ და მშვიდობით მოგიყვანათ კადიშონძო. ძალიან მოსწონდათ ჩემი ლამაზი ეტლი. მეც განშენდილი და ლამაზ მოსართავით კარგი სანახავი ვიყავი. ღია ფანჯრიდან შესმოდა ნათლობის ამბავი; ბავშვი ისე ჭეპოდა, თითქოს ეელსა სჭრიდნენ, თავმოძვრონე ნათლიებს ცოტა „მრწამსი“ შესცდათ და ძღვდელო ჩუმიდ უსწორებდა; შევისედე ფანჯარაში და დავინახე საბრლო ნათლიები მთლად გაჭარხლებულნი, ცრემლ-მორეულნი, თუძცა შეცდომა დიდებსაც შეიძლებოდა მოსვლოდათ. როცა ნათლობა დასრულდა, გამოიყვანეს ჰატარა მარი-კამილა, ნათლიებიც მოსდევდნენ კალათებით სვლში. სოფლის ბაღლებში შესძახეს: „გაუმძრავოს ნათლიებს!“ იმათაც გადუქარეს გროძები და ხმელი სილი, რომელიც წვიმასავით სცვიოდათ თავზე. შეიქმნა ერთი ომი, სწორედ დამძუელ ძაღლებივით მისცვივდნენ ბაღლები, ერთი მეორეს სტაცებდა. შეიქმნა უერთა კლევა, მუშტი კრივი, ძირს კორობა და ბღლამუნი. სოგი გროში ფეხ-ქვეშ მიიძალა, სოგი ბღლასში ჩაგორდა. ჰიერი არ იცინოდა, კამილას ჯერ უხაროდა, ბოლოს კი ამასაც შეეძინდა, როცა კრივი გაიმძრათ. სოგი ტიროდა, სოგს სახე



დაკაწრული ჭქონდა, და იყო ერთი ზლიაქოთი. როცა უკლებს ჩასხდნენ, კამილამ უთხრა ჰიერს, მართალი სთქვი, ჰიერ, მეორედ სათითაოდ მივცემ და ეგრე აღარ გადუერი.— მეც ბგრედვე, — სთქვა ჰიერმა.

ეტლი დაიძრა, და მეტი ველარა გავიგონერა, ჩემებიც ჩასხდნენ თავიანთ ეტლში, მაგრამ ახლა კი მძობლები მოკვდევედნენ და ეუბნებოდნენ ემაწვილებს, კადიმონმა სომ განვენათ თავისი სიძარდე, ახლა სჯობს წენარად წახვიდეთ, რომ ჩვენც მოგდიოთო.

— დედა, — მიუბრუნდა მადლენა: — განა ეგ ჩვეულება მოგწონთ, ეგრე ხილის გადაურა?

— არა, ძვირფასო შვილო, ეგ ცუდი ჩვეულებაა, ბაღლები მადლებს ემკზავსებიან, როცა მალზე ჩსუბობენ. მე რომ მომენათლა, ისე დაურიკებდი ვეკლას, ახლა-კი მომეტებული ისე დაიბნა, რომ ველარც კი იზოვნეს.

მადლენა. მართალია, დედიკო, მეც მომანათულინეთ ბავშვი და თქვენსავით მოვიქცევი.

დედ. (ლოპლით). ნათლიობისთვის ბაღლია საჭირო, და მე მცნობი არაზინა შეაგს.

მადლენა. ვწუსვარ, მე და გენრისი მოენათლაყდით. შენ რას დაარქმევდი შენს ნათლულს, გენრის?

გენრის. გენრისს, რასაკვირველია, შენა?

მადლენა. მადლენას.

გენრის. მადლენა რა სახელია?

მადლენა. იგივე სახელია, რაც ჰიერეტა.

გენრის. კიდევ ჰიერეტა სჯობს, მაგრამ სომ ნახე, ჰიერმა აღარ დაარქვა ეგ სახელი.

— მეც დავთმობ, — სთქვა სიცლით მადლენამ: — ჯერ ბევრი დრო გვაქვს მაგისტვის ფიქრისა.

მიუხელოვდით სასახლეს, ეველანი ჩამოხდნენ და მოსახლეობა  
 ვიდნენ ტანისამოსის გამოსაცვლელად. მეც მომხსნეს ჩემი  
 კაზმულობა და გამოიშვეს ბაღასზე, სანამ ემაწვილები საუს-  
 მეს შეექცეოდნენ.

ან. ამილახვრისა

(შემდეგი იქნება)





# კატა და ციყვი

(ვაგნერიდან)



რთ მონადირეს კატა ჰქაუდა. კატა მეგობარვით შეე-  
 თვისა დიდსა და ჭრელ მურა ძაღლსა. ერთ ჯამში  
 სწამდნენ საჭმელსა და არასოდეს არ ეჩხუბებოდნენ  
 ერთმანეთსა. საზოგადოდ ფრიად წუნარის სასიათისა  
 იყო ეს კატა. არაფერს არ იპარავდა, მხოლოდ თაკვებს  
 იჭერდა, რომელთაც თავის სიმრავლით დასახლისს თავი მოა-  
 ბეზრეს. ერთის სიტყვით, კარგი, სამაგალითო, ვეკლას საუვა-  
 რელი კატა იყო. გნუტებიცა ჰქაუდა — ჯერ პატარეები და ბრძე-  
 ბი — სირბილიც არ იცოდნენ. ერთს წუთს არ მორდებოდა: ფისუ-  
 ნიებს მუძუს აწოვდა, ლოკავდა და ვოველ ხაირად უმტკიცებდა  
 სიუვარულს. უცებ რაღაც მოჭხდა და ციცუნებები დაიხოცნენ.  
 კატა მეტად სწუსდა, ჭამას თავი მიანება, თითქოს რაღასაც  
 ეძებდა და სულ გნაოდა.

მონადირეს კატა ფრიად შეეცოდა. აი, ტუეში პატარა, სი-  
 ცივისაგან აკანკალებული ციყვი იპოვა. ალბად იმის დედა  
 რომელმამე ონავარმა დაიჭირა და გადაულანა. მონადირემ ციყვს  
 სელი სცადა და სახლისაკენ წამოიყვანა. ბავშვებმა სცა-  
 დეს რძე ეჭმათ, მაგრამ ახალი სტუმარი ისეთი პატარა იყო,  
 რომ არც რმისა და არც წულის ლოკვა შეეძლო. თვალები  
 ახელილი არ ჰქონდა, სიარული არ იცოდა. ბავშვებმა საბრა-  
 ლო კატას მიუუვანეს და გვერდთ მოუწვიანეს. კატამ ჯერ გან-  
 ზე გაიწია, შემდეგ კი პატარა უცნობს დასუნა, ლოკვა და ჭმევა  
 დაუწყო, სწორედ ისე, როგორც თავის პატარა შვილებს ექ-

ცოდა. ციუვთან ერთად ეძინა, და როცა ღამით შესცივდებოდა ციუვს, თავის ბეწვით ათობოდა. არც ერთ ძაღლს, თავის მეგობარსაც-კი, ნებას არ აძლევდა იმის შვილობილთან მისუ-  
ლიყო ან ასლო მიტკარებოდა: მაშინვე ბაღანს აიბურძენიდა, აიფსორებოდა, უკანა ფეხებზე წამოსკუძებოდა და დაუმატი-  
ქებულ მნახველს კლანჭით სილუბის რტყევეთ გააგდებდა. რამ-  
დენისამე ხნის შემდეგ ციუვი წამოიხარდა, სირბილი იწყავლა, კატას სასეინოდ დაჭავდა და თავკების ჭერას ასწავლიდა. ჯერ მკვდარი თავკი მოიტანა და თავის გახრდალს წინ დაუ-  
დო, თან აჩვენა როგორ უნდა აელო. შემდეგ ცოცხალ-მკვდა-  
რი მოუყვანა, რომელიც სულს ღაფავდა და ძლიერ ინძრეო-  
და. შემდეგ ცოცხალი თავუნიაც მოიყვანა; ჰირი გაუშვა, თავის გაქცევა უნდოდა, მაგრამ კატამ ისევ სწრაფად კლანჭებში ჩაი-  
გდო. ეველა ამას იმიტომ შურებოდა, უნდოდა ციუვსაც თავის ჭერს ესწავლა.

მაგრამ ციუვი ძეტად უუურადღებოდ კვიდებოდა თავის აღმზრ-  
დელს სწავლებას და მცირედი სიმარჯვე ან მოხერხებაც-კი ვერ გამოიჩინა. თავკების ჭერა და ჭამა სრულიად არ უნდოდა, ჰირიკით, საშინელ სიხლს იჩენდა ასეთ საჭმელისადმი. ბევრს უცადა კატა მოწაფისათვის თავისი ხერხი ესწავლებინა, მაგრამ მაინც არა გამოდიოდა-რა: ციუვი სრულებით უნიჭო გამოდგა. კატასავით კნავილსაც ვერ მიეჩვია, და როდესაც დაუმახებდა, თავისებურად აძლევდა ზასუსს: „მურრ, მურრ“-ო.

ერთხელ კატა სახლიდან ბაღში გამოვიდა და ციუვი მაშინვე უკან გამოუდგა. კაკლის ძირას მივიდნენ, სადაც თავკებს სორო გავეკოთებინათ. კატას უნდოდა ერთხელ კიდევ ეცადნა და ციუვისათვის თავკებზე ნადირობა ესწავლებინა. მაგრამ, როგორც-კი ციუვა ხე დაინახა, მაშინვე შედ აცოცდა, სულ შემო ტოტამდის ავიდა, არხეინად წამოსკუძა და შემოდან თავის მასწავლებელს მხიარულად გადმოჭხედა. კატაც ბედუ-



რებსე სანადიროდ სძირად დამურებოდა კაკლის სეზე, და მისი  
 თუ არა მუილობილი მადლ ტოტზე, თითონაც იქითკენ გაე-  
 შურა სჩქაროდ. როდესაც კარგა მადლა აცოცდა, ციუვი ტო-  
 ტიდან ტოტზე სტომით უფრო და უფრო მადლა მიიწევდა  
 და ბოლოს მწვერვლომდინაც მიღწია. აქ უკანა ფეხებსე  
 წამოჯდა, კაკლი მოსწვეტა, გესტესა, გარედან ქერქი შემოა-  
 ცალა და ძირს ჩამოაგდო; შემდეგ ნოეიერ, ნორჩ გულს სწრაფად  
 ფეხებში ატრიალებდა და მადინად შეექცეოდა.

კატა უფურებდა და ვერ გაეგო, როგორ მოახერხა ციუვი  
 ასე სწრაფად მადლ სეზე ასვლა და კაკლის ჭამა.

ტოტა ხნის შემდეგ, ქვეით ჩამოვიდა და გაკვირვებით ერთ-  
 ხელ კიდევ სეკით შეიხედა. ამას შემდეგ კატას არასოდეს აღარ  
 უსწავლებია მისთვის თაკვებსე ნადირობა. წინანდებურად აღერ-  
 სით ვკიდებოდა ციუვის, სასეირნოდაც ერთად დადიოდნენ, მა-  
 გრამ თითოეული მათგანი თავისებურად ეძებდა საჭმელს. სანამ  
 კატა კაკლის ძირას თაკვებს იჭერდა და სჭამდა, ციუვი ტოტებსე  
 დასტოდა, ქანაობდა და კაკალს შეექცეოდა.

დ. უიფიანი




საქართველოს  
საბჭოთაო სკოლა

ა ნ დ ა ზ ა

ერთ კაცს ძაღლი გაშოუდებ, კაცი ქვას დასწვდა ახად-  
ბად, მაგრამ ქვა მიწაზე მიეინული უოფილიყო და ვერ მოკ-  
ლიჯა; მაშინ სთქვა: ღმერთო, დაილოცა შენი სამართალი,  
ძაღლს უშვებ და ქვას აბამო!

\*\*\*

რ ე ბ უ ს ი



რ ე ბ უ



”




ბ ა რ ა

თმის სა-  
ღებავი.



რ ე ბ უ

100 რ ე ბ უ



რ ე ბ უ

მე-13 №-ში მოთავსებულ რეზუსის აღსნა:  
რეზუსის აღსნა: საწყვადი მელა ჩიოდა.  
ანაზრამის აღსნა: ქუძი — შუქი.

# მიიღება ხელის მოწერა

1909 წლის იანვრიდან 1910 იანვრამდის.



საუმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

# ნაკადული

(წელიწადი მეხუთე)

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

**24** წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მკირე წლოვანთათვის **12** წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მოზრდილთათვის.

**პრემია: მიეცემა წლიურ ხელის მომწერლებს 1909 წ.**

„რას გვიამბობს ოთხი“ (აგენარიუსისა)

ჟურნალს ხელმძღვანელობს ს. უწყვეს სკანკებოდ არჩეულა სარედაქციო კომისია.

ფასი ჟურნალსა: წლიურად ხუთი მანეთი. ნახევარას წლით სამი მან.

სამშლვარ კარდა: წლიურად შვიდი მანეთი, ნახევარ წლით ოთხი მან.

მკირე წლოვანთათვის 24 წიგნი სამი მან.—მოზრდილთათვის 12 წიგნი სამი მან.—ხელის-მოწერა შეიძლება წლიურად და ნახევარი წლით ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად.

ხელის მოწერა მიიღება:

1) „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპ., ზუბალოვის სახლ., № 8, ყოველ-დღე 9—2 საათ., სამშაბათობით საღამოთიც.

2) წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა. წლიურად ფასი ჟურნალისა დამატებით, ესე იგი მნ წიგნისა რჩება ისევე მანეთი.

ნაკადულის რედაქცია სთხოვს ხელის-მომწერთ:

ვისაც ჟურნალის ნომრები დააკლდება, მიმართონ აგენტს ანუ რედაქციას, არა უგვიანეს ერთის თვისა.

ვინც მასალას გამოგზავნის დასაბეჭდათ ვთხოვთ გარკვევით და სუფთად იყოს დაწერილი.

რედაქტორი: მ. ი. დემურია.

გამომცემელი: თავ. პ. ი. თუმანიშვილი.